# ერი

№ 24
წელიწადი პირველი
1913

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 30 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И“ Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რადიუმი“
29, 30 ნოემბერის და 1 დეკ.
ახალი პროგრამა.

განყოფ. I.
პატე-ჟურნალი № 244-ბ

II.
„დრამა ნადირობის დროს“
(საშინელი ისტორია)
ანტ. ჩეხოვის მოთხრობიდან 3 ნაწილათ.

III.
„თუ რეცხვით ვერა სრი-ალით მაინც“
(კომიკური).

დრაფი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი.

პაიზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოზოვი
და ბ. გ. ოზანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური, გენუია, იდეალი, ფლორა.

ქვრივი სოფიო ექვთიმეს ასული გუნცაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 დეკემბერს, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დილის თერთმეტ საათზე, მისი დაუვიწყარი ქმრის

**ილია კოსტანტინეს ძის გუნცაძის**

სულის მოსახსენებლათ.

გადაცვალებიდან მეორმოცე დღეს, კვირას, 1 დეკემბერს, სოფელ ნიგოზეთში (შორაპნის მაზრა) წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

**ვასილ საჩინოს ძის ბარათაშვილის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნთესავთა და ნაცნობთ მეუღლე გადაცვალებულისა პუპი დიმიტრის ასული ბარათაშვილისა შვილებით და ძმა გრიგოლ საჩინოს ძე ბარათაშვილი მეუღლითა და შვილებით.

ღრმათ დამწუხრებულნი ქიათურის საავათმყოფოს აქიმები, ფერშლები და მოსამსახურენი, აცნობებენ მეგობრებსა და ნაცნობთ გადაცვალებას ხსენებული სავათმყოფოს ფერშლის

**ბენიამენ გრ. შაქარიშვილისას,**

რომლის დაკრძალვაც მოხდება ს. ერკეთში (გურიაში), შაბათს, 30 ნოემბერს.

კვირას, 1 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი ზაალის ძის ბოკერიას**

სულის მოსახსენებლათ, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის ჭირისუფალნი

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ღაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს გლებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

ვინც თუთუნს ეწევა, გვთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პაროსი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

## ქალაქის თეატრი.

დღეს, 30 ნოემბერს დაკლებული ფასებით წარმოდგენილ იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

**ქართველი დედა**

დრ. 4 მოქ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. მარტყოფელი, ბ-ი №-რი პ.ბ. დ. ჩარკვიანი, ნემო, ი. ბახტაძე, ვ. აბულაძე, ჩხიკვაძე, გ. ჩარკვიანი, ტყემელაშვილი და სხვა.

რეჟისორი დ. ჩარკვიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამოვიდა გასასყიდლათ ნოტებზე გადაღებული ლექსი:

**„გაზაფხული“**

ი. გრიშაშვილის და ი. სარაჯიშვილის სურათებით.

ფასი ხუთი შაური.

## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის სავაჭრო მაღაზიაში
(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება

**დიდი იაფი ვაჭრობა**

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

## ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

**მუდმივი საწოლებით**

**თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—სანიტარო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდე ქლურული“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და სუფრის მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიუგილის ქუჩაზე მმ. გოგილის სახლში ვ. ტიეზო.

**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** კ. თ. ტყემელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

## ღაბა ხესცკაფონი

აქიმი ლო. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

## ჰუმანიური პოლიტიკა.

მოახლოვდა წლის ბოლო და პროვინციათა მართველებსაც აუარებელი საქმე გაუჩნდათ. უპირველეს ყოვლისა ყოველი გუბერნატორი ვალდებულია ახალი წლის დასაწყისამდი წარადგინოს აგრეწოდებული „უქვეშევრდომილესი ანგარიში“, რომელიც განმარტავს საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას წლის განმავლობაში ამა თუ იმ გუბერნიაში. რუსეთის ბევრმა გუბერნატორმა უკვე წარადგინა ხსენებული ანგარიშები, რომლის შორისაც ზოგი ულოღიკობითაა დასნეულებული, ზოგი ფრიად ცალმხრივია, ზოგიც ფრიად ზერელეთ შედგენილი და სხ. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ერთი თფილისის გუბერნატორის „უქვეშევრდომილესი ანგარიშიდან“ გამოსჭვივის ცოტაოდენი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, რომელიც, ამ ბოლო ხანებში მაინც, იშვიათ სამკაულს შეადგენს რუსეთის ადმინისტრატორებისას. პირველ ყოვლისა გუბერნატორი განმარტავს სისტემას, რომელიც განაპირა, უცხო ერებით დასახლებული ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეშია საჭირო და ამბობს: „არსებობდა და რამდენიმე წრეში ახლაც არსებობს რწმენა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა მართვა მხოლოდ მკაცრი, რეპრესიული ზომებითაა საჭირო. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ადგილობრივი მცხოვრებნი შიშსა და მუქარას მალე ეჩვევიან, მაგრამ კეთილ-განზრახვებითა და ღირსებით ალსავსე მოპყრობას მთავრობის მხრით აფასებენ. სწორეთ ამგვარი კეთილგანზრახვით ალსავსე პოლიტიკის მეოხებით შეიძლება, რომ კანონიც მტკიცეთ დაიცვა“... ამ-

გვარი სისტემა არც შიდა გუბერნიებს მოკვეთდა კბილს და ჩვენთვის ხომ, ყოველგვარი მოულოდნელობის სხვერპლთათვის, თანამედროვე ჩვენს მდგომარეობაში დიდი რამ იქნებოდა. ჰუმანიური მოპყრობა ველურსაც კი აღზდის და აღზდილისთვის ხომ იგი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მხოლოდ ადმინისტრატორთა და ჩვენი ქვეყნის მართველთა „ჰუმანიზმს" საჭიროა ნიადაგი ყალბი არ ქონდეს და გულწრფელობას არ იყოს მოკლებული. პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ბედის გამგეები რწმენით უნდა ხელმძღვანელობდენ და მათ მოქმედებას გულწრფელი პატივისცემა უნდა ქონდეს სარჩულათ იმ ერთა უფლებისადმი, რომელთა მართველებათაც დღეს იგინი ბედს წარმოუგზავნია. თუ კი კეთილგანზრახვები ამგვარი პატივისცემის სამოსელში გაეხვევა და გვესტუმრება, მას ყოველი ქართველი დიდის სიამოვნებით გაუღებს საკუთარი ოჯახის კარებს და შესაფერისათ დააფასებს ამ განზრახვათა ღირებულობას, თვარა სიტყვით ჩუქებული „დანიის სამეფო" ყველა ჩვენთაგანს ფრიად ეშორება და ნურც ნურავინ მოიტყუებს თავს ვითომ ჭრელი სიტყვებით შეიძლებოდეს ყველას მონადირება. ლიბერალურსა და ჰუმანიურ ტყავში გახვეულს ქვენა განზრახვებს ისევ გულის ზრახვათა იმ სახით მოვლინება სჯობია, რა სახეც მისთვის ბუნებრივი იქნება. როგორც არა ერთჯერ გვითქვამს, ქართველებს კერძოთ არასდროს კანონიერების წინაამდეგ კრინტი არ დაუძრავთ, მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში როგორღაც შეუძლებელი გახდა კანონის შემეცნებათა განმარტება, ვინაიდან ჩვენი დროის კანონმდებელთ კვირაში შვიდი პარასკევი აქვთ და ყველა მათგანიც კანონს დროისა, გარემოებისა და პირადი სურვილების თანახმათ ხსნის და მარტავს. ნუ შეგვრისხავენ თუ ვსთქვათ, რომ არა მარტო „კეთილგანზრახვიანი პოლიტიკა" ბადებდა კანონისადმი პატივისცემას, საჭიროა თვით კანონს ქონდეს კეთილი შინაარსი და ბევრჯერ არა ჩანს ჩვენში ეს უკანასკნელი. ფრჩხილებში გამომწყვდეული კეთილი განზრახვები, ვერავის მოგვრის სიამოვნების ჟრუანტელს, როდესაც ტლანქი რეალობა სულს გვიხუთავს და დღეს გვიმწარებს, ცხვრის ტყავში გამოხვეული მგლების შესახებ ჯერ კიდევ ბევრი ანდაზა არსებობს ჩვენში და, ვიდრე ცხვრის ტყავში თვით ცხვარი არ იქნება გახვეული, მანამ არც ამ ანდაზებს მოაკლდება თავისი მნიშვნელობა. გზა კი არა, მიზანი უნდა იქნეს სიკეთით აღსავსე, თვარა კარგი გზით გლახა მიზნისკენ წაყვანა და სვლა, წამყვანთ—შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსთა სახელით შეამკობს და წაყვანილთ კი—უგუნურების და უვიცთა სახელით მონათლავს. სანამ ეჭვის თვალით გვიყურებენ, ჩვენც შეძლება არ გვეძლევა ნდობით შევცქეროდეთ ვისმე, როცა ნდობით მოგვეპყრობიან, ჩვენ შევსძლებთ, როგორც არა ერთჯერ, გულწრფელ მოამაგეთა ღვაწლი ღირსეულათ დავაფასოთ. ვისაც პოლიტიკა კი არა, გრძნობა და გული ქონდა ჩვენდამი აღსავსე, მან ხელთუქმნელი ძეგლიც დაიდგა ყოველი ქართველის გულში, ვინც მხოლოდ მშრალ პოლიტიკაზე გვეპატიჟება, იგი კიდევ იმას წაიღებს, რაც იმ ქურდმა წაიღო, რომელმაც მამალი მოიპარა და მოპარული მამლის კუდი კი მასპინძელს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

**იმერი.**

# სახელმწიფო სათათბირო.

**26 ნოემბრის სხდომა.**

(გაგძელება)

სხდომას **გარუნსკრეტი** თავჯდომარეობს. **გერასიმოვი** შეკითხვას მხარს უჭერს და ამბობს:—შინაურ საქმეთა მინისტრის ამხანაგის განმარტება შეკითხვის არსებით მხარეს არ ეხება. განმარტებაში მინისტრის ამხანაგი შეეხო მხოლოდ არჩევნების დროს უკანონო მოქმედებათა უმნიშვნელო შემთხვევებს. ამ განმარტებიდანაც აშკარათ ჩანს თუ რა როლს თამაშობდა არჩევნებში ცენტრალური მთავრობა. უკანონოთ მომხდარი არჩევნები მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხოთ დასტოვა. ახლა საკითხი ისაა, რა ღონისძიებას მიიღებს მთავრობა დარღვეული კანონის აღსადგენათ და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ. სხდომის დახურვის გამო ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ. შემდეგი სხდომა ოთხშაბათს.

# ახალი ამბავი.

აქვე მოგვყავს მეფის მოადგილის რეზოლუცია პოლიტეხნიკუმის შესახებ:

„მიუხედავათ გენერალ-ლეიტენანტის გაბაშვილის წყევლა-კრულვისა, რაიც მეძება უმეტეს წილათ მე, როგორც ისეთ ადამიანს, რომელიც საბოლოოთ სწყვეტავს საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევის საკითხს, ვეთანხმები კომისიის უმრავლესობის აზრს, უმთავრესათ ფინანსიურ მოსაზრებათა ძალით, და საპოლიტეხნიკუმო ადგილათ ვამტკიცებ ნავთლუღს".

რეზოლუციის პირველი ნაწილი, რომელსაც პოლემიკური ხასიათი აქვს, უეჭველია, ბევრს გაუგებრობას გამოიწვევს. ამიტომ მოგვყავს ოფიციალური განმარტება ოფიციალური გაზეთის „კავკაზ"-ისა, რომელიც ასე ხსნის ამ საპოლემიკო ფრაზის წარმოშობას: „რეზოლუციის პირველი ნაწილი გამოწვეულია იმით, რომ გენერალ-ლეიტენანტმა გაბაშვილმა თავისს განსაკუთრებულ აზრში გამოსთქვა შემდეგი: „ნავთლუღის საერთო ცუდი პირობების გამო, მომავალი სტუდენტები, პროფესორები და მოსამსახურენი, ცხადია, წყევა-კრულვით მოიხსენებენ იმ პირებს, რომლებმაც პოლიტეხნიკუმი ასეთ ადგილას ააშენეს".

✦ 28 ნოემბრისთვის დანიშნული ქალაქის გამგეობის საფინანსო კომისიის სხდომა არ შესდგა.

✦ არ შესდგა 28 ნოემბრისთვის დანიშნული ქუთაისის საანაურო სადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება, რადგან კრების თავჯდომარემ ნ. თავდგირიძემ დეპეშით აცნობა რწმუნებულებს, რომ იგი კრებას დახურულათ სცნობს.

✦ დღეს ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს ვ. სოხაძის, ბ. მესხისა და პ. შენგელიას საქმეს.

✦ ვარშავის უნივერსიტეტთან არსებულს ქართველ სტუდენტთა არ. **ჯორჯაძის** სახელობის წრეს განუზრახავს წრის ნაყოფიერი მოქმედებისთვის თვალყური ადევნოს ქართულ პრესასა და სხვადასხვა ეროვნული ხასიათის საკითხზე ნათელი წარმოდგენა იქონიოს. წრე სთხოვს ქართული გაზეთების რედაქციებს, ხელმოკლეობის გამო, მათ თავისი გამოცემები დაკლებულ ფასათ დაუთმონ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ბაზარზე ფქვილის ფასმა შესამჩნევათ დაიწია. ფუთი მანეთად და ორ შაურათ ყიდება.

✦ სამწუხარო შეცდომა შეგვეპარა ჩვენი გაზეთის 22 ნუმრის ახალ ამბავში, ვითამ ბაღდადში გველებისგან მოწამლული ღვინით სამი კაცი მომკვდარიყოს. ჩვენი ბაღდადელი კორესპონდენტი დანამდვილებით გვატყობიებს, რომ ხსენებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია და არაფერი ამგვარი ამბავი ბაღდადში არ მომხდარა.

✦ აეტი გეწაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი „ერის" მეორე ნუმერში მოთავსებული წერილი შორაპნიდან მას არ ეკუთნის. რედაქცია ამოწმებს, რომ ხსენებული წერილის ავტორი ა. გეწაძე არ არის.

✦ ახლო მომავალში ქუთაისის სასამართლო გაარჩევს ძმათა ანანოვების საქმეს, რომელთაც ადგილობრივი მიწისმოქმედების სამართველო უჩივის 6000 მანეთს, რომელიც სამართველოს ანანოვებისაგან ერგება იჯარით აღებული ქვის სატეხი ადგილების საიჯარო ფასათ.

✦ მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან ფოშტის საშვალებით ამანათების გაგზავნა გაიაფდა. აქამდი ერთი ლოტი იყო წონის ერთეულად ნოემბრის თუთხმეტიდან კი 15 გრამი იქნება.

✦ თფილისის გაზეთიდან გადმოვბეჭდეთ ჩვენ ცნობა, ვითომც იმერეთის ეპისკოპოსი ყ-დსამღვდელო გიორგი სამსახურს თავს ანებებს, რადგან ვიფიქრეთ, თფილისის გაზეთი ახლო უდგია მთავრობის დაწესებულებას და უკეთ ეცოდინება-თქო, მაგრამ ეს ცნობა მართალი არ გამოდგა. ყ-დსამღვდელო გიორგი ჯანსაღათ არის და სამსახურის თავის დანებება აზრათ არ მოსვლია.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ქუთაისში მოვაჭრე ირაკლი ბიბილეიშვილი და განაცხადა შემდეგი: 1912 წელს ქალაქის აგენტს რაჟდენ ბუაძეს გამოუგზავნია მისთვის თავისი კაცი, კვირიკაძე და მოუთხოვია გადასახადი; ბიბილეიშვილს მიუცია კვირიკაძისთვის ათი მანეთი ილიკო აბაზაძისა და პავლე ოყრეშიძის დასწრებით და დაპირებია კვიტანციის მოტანას. კვირიკაძეს, კვიტანციის მიტანის მაგიერ, 24 გიორგობისთვეს ამა წლისა მიუყვანია ჩაფარი, დაუკავებია ბიბილეიშვილი საპოლიციო უბანში და არც გაუთავისუფლებია, სანამ არ გადაუხდევნებია ხელმეორეთ ფული, ეს პირველი მაგალითი არ არისო. ბევრი სხვაც ჩივის ამის გამო.

✦ შაბათს, 30 ნოემბერს, ახალსენაკში გაიმართება გიორგი სააკაძის გასამართლება. ბრალს სდებს ბ-ნი არ. ჭუმბაძე, იცავს—გრ. ლაღიძე. იგივე გასამართლება განმეორებული იქნება კვირას 1 დეკემბერს ზუგდიდში.

✦ ბაღდადის ბოქაულათ ჯალათ-ოღლის ნაცვლათ, რომელიც სამსახურიდან დაითხოვეს, ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს მოხელე ა. შენგელია დაინიშნა.

✦ დღეს, საღამოს ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტეტთან არსებული სცენის მოყვარეთა მიერ მსახიობის დ. ჩარკვიანის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნება ა. ცაგარლის ოთხმოქმედებიანი დრამა „ქართველი დედა". წარმოდგენა იაფფასიანია.

## მოწერილი ამბავი.

**ხარაგაული.** ხარაგაულის წ. კ. გ. სამკითხველოს მდგომარეობა, როგორც საზოგადოთ ყველგან, ჩვენშიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და უყურადღებოთ მიტოვებულია წევრებისაგან. ხსენებული სამკითხველოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ დანიშნული გვქონდა კრება 21 ნოემბრისათვის ამა 1913 წ. მაგრამ სამწუხაროთ მხოლოთ ორი-სამი წევრი მოვიდა და დანარჩენებმა არ ინებეს მობძანება; ამიტომ გამგეობა იძულებული გახდა, რომ კრება შემდეგისთვის გადაედვა და ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ და დაინტერესებულ პირთა, რომ ხარაგაულის სამკითხველოს საზოგადო კრება დანიშნულია 6 დეკემბრისათვის 1913 წ. და გამგეობას თხოვთ, რომ მობძანდენ დანიშნულ დღეს დილის 10 საათზე სამკითხველოს კეთილდღეობის მოსაგვარებლათ. გამგეობა იძულებულია, რომ 6 დეკემბერს უსათუოთ გარჩევა ითხოვოს სამკითხველოს საჭირბოროტო კითხვებისა დამსწრე პირებისაგან და ამიტომ კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

გამგეობის მონდობილებით გამგეობის წევრი კ. ჯაფარიძე.

# დღიური.

— საპარლამენტო არჩევნებზე ბულგარეთის მთავრობა დამარცხდა; მთავრობამ 13468 ხმა მიიღო, ოპოზიციამ კი 28140.

— ნაციონალისტები პეტერბურგში ახალ გაზეთს „გოლოს რუსის" გამოსცემენ.

— მემარჯვენეებს სათათბიროში სტენოგრაფიული ანგარიშების ცენზურის შესახებ კანონპროექტი შეაქვთ.

— სათათბიროს გლეხთა ჯგუფმა გადასწყვიტა მოითხოვოს ერობა იმ მხარესათვის, სადაც თვითმართველობის ეს ინსტიტუტი არ არსებობს.

— კოკოვცოვმა შაქრის გაიაფების შესახებ სათათბიროში მეორეთ შეიტანა კანონპროექტი.

— პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის სტუდენტებმა გადასწყვიტეს გაფიცვა მოხსნან.

— მემარჯვენეებს სათათბიროში საკანონმდებლო წინადადება შეაქვთ, რომ ებრაელებს რიტუალური მიზნით საქონლის მოკვლა აეკრძალოთ.

— ირკუტსკის ციხიდან 70-ე წლების რევოლუციონერი ქალი ბრეშკობრეშკოვსკაია გაიქცა, მაგრამ ისევ დააპატიმრეს.

— სპარსეთში შახრუდის ოლქში 700 თურქმენი ხალხს სძარცვავს.

# მოხსენება

**კომერციული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას.**

(გაგძელება, იხ. „ერი"-ს 23-ე №).

ორმოცი წლის წინათ კანტი-კუნტათ მოიძებნებოდენ ქართველი ვაჭრები, დღეს კი მათი რიცხვი მრავლდება, ამას თქვენც ხედავთ და შორს არ არის ის დრო, რომ ქართველის ხელში დავთარი, ჩოთქი და ალაბი ოდესმე კაჟიანი თოფისა, ხმლისა და ხანჯლის ადგილს დაიჭერს.

ნუ იფიქრებთ, რომ მე ქართველი ვაჭრების ქებათა-ქებით დავასრულო ჩემი საუბარი. თქვენის ნებართვით შევუდგები იმის განხილვას, რა ცუდი მხარეებიც დასჩემდათ თავიდანვე ქართველ ვაჭრებს და დღესაც რა ნაკლი აქვთ.

როგორც მოგახსენეთ, სოფლიდან ჩამოსული ახალგაზდა, მოწყვეტილი ლაღ ბუნებას არც ისე ადვილათ ეგუებოდა ქალაქის ცხოვრებას და ერთთავად თვალები კვლავ თავის ჭვარტლიან ქოხისაკენ ქონდა მიქცეული. უმეტეს ნაწილს ნაშოვარი ფულებისას იმავე ქოხს ახმარდა და ყოველ ჩასვლაზე სოფელში, გარშემო შემოხვეული მშობლები სულ იმას ემუდარებოდენ: „აჰა, ბიჭო შენ იცი, მოგვეხმარე ოდა გაგვაკეთებიე, ცოტა ნაჭერი ადგილი შეგვაძლებიე ვიყიდოთ". ან და:—„უსათუოთ, შვილო, დღეობაზე ჩამოდი, ხომ იცი, მტერ-მოყვარეთი გაივსება ხალხი და თუ შენ არ გვეყოლე, მტერს თვალები რითი დავუყენოთ". კარგათ წარმოიდგენთ, თუ ჩვენი ახალგაზდა ნოქარი რანაირათ მოიქაჩალებდა თავს.

გადარჩებოდა სალდათობას, რაც მიწიერი ძალების საშვალებით უწინდელ დროში იოლათ ხერხდებოდა, და უკვე აქა-იქ გაჩნდებოდენ მაშვლები. მაშვალს ევალებოდა: ქალი უნდა იყოს ლამაზი და უსათუოთ აზნაურის. მაშვლებიც, რასაკვირველია, ცდას არ აკლებდენ და აბედნიერებდენ ჩვენს მომავალ ვაჭრებს ბრწყინვალე წოდების მოყვრობით.

გაბედნიერებული ჩვენი ახალგაზდა ნოქარი ზოგი ალის დახმარებით, ზოგიც ვალით იწყებს საკუთარ ვაჭრობას და, წარმოიდგინეთ, კარგათაც მიყავს საქმე, მაგრამ ბარაქა არ აქვს, თუ ოჯახობა სოფლათ ყავს, ვერ უდის გზავნას, ვინაიდან სავსეა ოჯახი ახალი მოყვრებით და რა აუვა მათ; თუ ოჯახობა ჩამოიყვანა აქ, ეს მოყვრებისთვის კიდევ უფრო უკეთესი: იმერელს ლოგინი სასამართლოში აქვს დაგებული და სტუმრობას არ მოაწყენენ. ახლა ამას დაუმატეთ აქიმების მნახველები, ისე, ტყუილათ, სანახავათ ჩამოსულები და საშინელი სურათი გადაგეშლებათ თვალწინ. შორს რათ წავიდე, ცხონებული მამაჩემი დილიჟნებს ამუშავებდა ქუთაისსა და ბაღდადს შუა. მაშინ ბალახვანის ქუჩის შესახვევში ვიდექით და დღე როგორ გაივლიდა, რომ პატივი არ ეცათ და ბაღდადელი მოყვრები არ გვწვევოდენ... ხშირათ ჩვენ, ბავშებს საწოლიც არ გვირჩებოდა. ამ მოვლენას თან ისიც დაერთო, რომ ჩვენი ვაჭრების უმრავლესობას არ ყავდათ, და არც ახლა ყავთ, მუყაითი, გამრჯელი ქალები. ეს დიდი დანაკლისი საზოგადო მოვლენათ ჩაითვლება ქართველთა შორის და რა თქმა უნდა—ვაჭრებიც ამას ვერ აცდებოდენ. **ერთი მხრით სოფელი, მეორით ბედნიერი მოყვრები და მესამით ხელგაშლილი დასახლისი,—აი, რა ანადგურებს ქართველი ვაჭრის ნაოფლარს.**

საჭიროა, გასწყვიტოს სოფელთან კავშირი და იქ გამაგრდეს, სადაც გებულობს. საჭიროა, მოისპოს ოჯახში მუქთახორა ხალხის რჩენა და ზედმეტი ხარჯები და ქალის თხოვას დიდი სიფრთხილით მოეკიდოს.

ახლა ავიღოთ, ბატონებო, შვილების გაზდა: მაგრამ განა ბევრი მეთქმის მას შემდეგ, რაც ზემოთ მოგახსენეთ. განა ისეთ, პირობებში როგორშიც ჩვენი ვაჭრის ოჯახი იმყოფება, ვაჭრული სული დატრიალდება და მის ატმოსფერაში აიზდება ბავში? ვაჭრის ოჯახში, ხომ სულ სხვა სული ტრიალობს, და აკი, მართლაც, იმგვარივე წრის არ გამოდის ახალგაზდობა: დედმამის ურჩი, თავხედი, ამპარტავანი და ზარმაცი. სადაც შრომა არ არის გამეფებული, სადაც ქალი და ვაჟი ორივე თანაბარათ უღელს არ ეწევიან, იქ არ შეიძლება ბედნიერება, იქ ბავში რიგიან აღზდას ვერ მიიღებს. ამასთან დაუმატეთ ისიც, რომ ვაჭართა წრეს შესაფერი სასწავლებელიც არ მოეპოება.

ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, თუ გადავაჭარბე და ცოტა მკაცრათ შევეხე ჩვენი ვაჭრების ცუდს მხარეებს. გამონაკლისი არის, ბატონებო, და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყოველ ოჯახში უწესოება ტრიალობდეს. ბევრს ოჯახს ვიცნობ, მართლაც, მეტისმეტ გამრჯელს და სანატრელია—მათი რიცხვი გამრავლებულიყოს.

ყოველს ამ ზემოჩამოთვლილ არა სასურველ მხარეს გარდა, კიდევ, სამწუხაროთ, ერთი დიდი ნაკლი ემჩნევა ჩვენს ვაჭრებს. **ეს გახლავთ, ბატონებო, გაჭრული ანგარიშების უცოდინრობა.**

ნეტარხსენებული დრო, როდესაც ჩვენი მამები დუქნის დარაბებზე ან შიგნით კედელზე ნახშირით ხაზავდენ შემოსავალ-გასავალს,—წავიდა, წავიდა ის დროც, როცა ერთს გაშავებულ დავთარში დომხალივით არეული იყო ყველაფერი. ამავე ბანკებმა, მექარხნეებმა და ფაბრიკანტებმა ისე გაგვირთულეს საქმე, რომ დღეს ნახშირის მაგიერ კარგი ფაბერის კალმის ტარი უნდა გვეკავოს ხელში, და უბრალო დავთრის მაგიერ ლევინსონის კარგი ბუღალტერიის წიგნებს ვიწარმოებდეთ.

ეს ყველა ადვილი საშოვარია ქუთაისში, მაგრამ ვინ უნდა მოიხმაროს?

ბუარებელი ვაჭარი ვარდება სასოწარკვეთილებაში ანგარიშების წარმოების უცოდინრობით? განა ცოტა ვაჭარს შეშლია ხელი, რომ დავთარი ვერ უწარმოებია რიგიანათ? განა იგივე ანგარიშის დაჭერა მარტო სავაჭროშია საჭირო? არა, ბატონებო, ანგარიშის წარმოება საჭიროა როგორც დუქანში, ისე ოჯახში და საზოგადოებაშიც, ესე იგი, მის ჯიბის ფულს თან პატარა წიგნაკიც უნდა ახლდეს.

და, აი, სწორეთ ამისთვის მიგიწოდეთ დღეს აქ თქვენ ყველა ვაჭარს, განურჩევლათ ეროვნებისა, რომ თქვენ თვითონ ცხად ყოთ თქვენი უმწეო მდგომარეობა ანგარიშების წარმოების საქმეში და ერთხმათ გადასწყვიტოთ აუცილებელი და ფრიად საჭირო საქმის განხორციელება, **ეს გახლავთ ქუთაისში საშვალო კომერციული სასწავლებლის დაარსება.**

რას წარმოადგენს ეს კომერციული სასწავლებელი?

ეს გახლავთ 8 კლასიანი საშვალო ტიპის უფლებიანი შკოლა, სადაც, სხვადასხვა გასავითარებელ საგნებს გარდა, ასწავლიან შემდეგ საგნებს: „ბუღალტერიას, კომერციულ ანგარიშს, მიწერ-მოწერას, მშობლიურს, რუსულსა და სხვა ევროპიულ ენებზე, ქიმიას, საქონლის შედგენილობას, პოლიტიკურ ეკანომიას, სავაჭრო კანონმდებლობას, კომერციულ გეოგრაფიას და სხვა... არცერთს ამ ზემო ჩამოთვლილ საგნებს სხვა საშვალო სასწავლებელში არ ასწავლიან და არც გასაკვირველია, ვინაიდან სხვა სასწავლებლები სრულებით დაშორებულია იმ აზრს, რომ თავისი შეგირდები ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლათ გამოზარდონ.

ამიტომაც არის საჭირო ჩვენთვის კომერციული სასწავლებლები. იქ აღზდილი შეგირდი სულ დაბალი კლასიდან უკვე დასრულებამდი უნდა გაიმსჭვალოს კომერციული ცოდნით და ამ რიგათ თეორეტიულათ მომზადებული ახალგაზდა, თუ მთლათ უბადრუკი არ გამოვიდა, იოლათ შესძლებს პრაქტიკულ საქმეებში მუშაობას. მის თვალში მამის საქმესა და ქონებას მეტი ღირებულობა და დაფასება ექნება და, როგორც მამის დანატოვარ სავაჭროს, ისე მისს ქონებას მეტი სიფრთხილით მოეპყრობა და არ გაფლანგავს.

მაშ, ბატონებო, თუ გნებავთ, თქვენმა შვილებმა უფრო ააყვავონ ჩვენში ვაჭრობა მრეწველობა, თუ გნებავთ—არ გაფლანგონ თქვენ მიერ სიმწრით ნაშოვარი ქონება: უნდა მისცეთ მათ კომერციული განათლება უნდა **შეაიარაღოთ სპეციალური ცოდნით, ვინაიდან მომავალი მარტო იმის იქნება, ვინც მეტი ცოდნით, მეტი მოხერხებით იქნება შეიარაღებული.**

გილოცავთ ამ დიადი საქმის დაწყებას, გინატრით, განახორციელოთ უკვე მიღებული ნებართვა და მით საუკუნოთ აანთოთ ლამპარი კომერციული განათლებისა.

**რაჟდენ დათეშიძე.**

## სადგილ-მამულო ბანკის გარშემო.

სადგილ-მამულო ბანკის საგანგებო კრების უკანასკნელ ანგარიშში ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ მიღებულ იქნა ფინანსიური კომისიის პროექტი მოსამსახურეთა შტატის შესახებ იმ დამატებითა და შესწორებით, რომელიც ბ. გ. ზდანოვიჩმა შეიტანა. ზდანოვიჩის წინადადება სწორეთ ამგვარი იყო და ეს წინადადებაც მიიღო კრებამ, მაგრამ კრების თავჯდომარეს თავ. ნ. თავდგირიძეს ყუთზე მიუკრავს გაუგებარი და არა სრული ფორმულა: „სადღესასწაულო საჩუქრები ყველასათვის გახდეს 2 თვის ჯამაგირი“. ეს ხელზე დაიხვია მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელიც ამტკიცებდა—მარტო ეს საჩუქრებია გასულიო. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბ-ნმა სობრიევსკიმ საგანგებო კრებაში გარჩეული კითხვები ყველა გადაუწყვეტლათ აღიარა. ამბობენ, ისევ მოიწვევენ საგანგებო კრებასო.

## ჭქ-იქაური.

ჭრელია სოფელი!... ვინ პარაკლისს იხდის, ვინ პანაშვიდს... ზოგი სიხარულშია, ზოგიც ცრემლსა ღვრის.

ჩვენა და ჩვენი ქვეყანა დიდიხანია პარაკლისებს მოწყვეტილი ვართ.

თუ იშვიათად მოვსწრებივართ ამ პარაკლისსა და სიხარულს—ჩვენით ძვირათ, თითქმის სულ არა... უბძანებიათ—გადაიხადეთ, იპარაკლისეთ, იმხიარულეთო და ჩვენც ცრემლით სიხარულს მივცემივართ.

ხოლო პანაშვიდები კი, ოო, რა ხშირი მოვლენაა!.. დღე ისე არ გავა... დღე უცრემლოთ არ იწურება... და რისთვის, რა დანაშაულისთვის, რა ცოდვის ვარსკვლავზე გაჩენილვართ, რომ ცრემლი... ცრემლი... სულ ცრემლი...

სიცილი დაგვავიწყდა... გარშემო კი ვხედავთ მოცინართ, მხიარულებს...

და ჩვენი ცრემლი რო სხვებს აცინებს, სამართლიანია?..

როდის უნდა გავიცინოთ?!

ხოლო, დე, ეს ჩვენი სიცილი, თუ კი ოდესმე ვეღირსებით მას, სხვებს ნუ აატირებს... ასეთი გესლისგან შორსა ვართ, არა გვსურს სხვის ცრემლზე ჩვენი სიცილი აშენდეს...

ნეტავი ასე ფიქრობდენ ისინი, ვინც დღეს ჩვენს ცრემლს უყურებენ...

დ.

## სიტყვა თუ საქმე.

ისე თვე არ გაივლის, რომ საქართველოს რომელიმე მხრიდან გაზეთებმა გულსაკლავი ამბები არ მოგვიტანოს. გორის მაზრაში, ბორჩოლოში, კახეთში, თუ სხვა მხარეებში ჩვენი მამულები უცხოთა ხელში გადადის. შავი ზღვის პირას ჩვენს გლეხებს გზა დაუხშეს მიწის შეძენისა მაშინ, როდესაც ჩვენი გლეხკაცობა მიწის სივიწროვეს განიცდის. ჩვენი მამა-პაპის ძვლებით განოყიერებული მიწის ყიდვის უფლებასაც გვართმევენ და წინ გვეღობებიან. ჩვენი სისხლით მორწყულ მამულებს უცხონი ხელთ იგდებენ. ჩვენი მემამულენიც მზათ არიან თავისი სურვილების დასაკმაყოფილებლათ ქართველი ხალხის კუთნილი მამულები უცხოებს ხელში ჩაუგდონ მაშინ, როდესაც ჩვენი გლეხკაცობა მზათ არის თვით შეიყიდოს. არ ესმისთ, რომ ჩვენი მიწის სხვის ხელში ჩაგდება ისეთი დანაშაულობაა, რომლის გამოც დასჯის აწმყო და წყევლა-კრულვით მოიხსენებს მომავალი. აღარ დაგვრჩენია მხარე, რომ არ შეენგრიოსთ. გურია იყო დარჩენილი და იქაც ეს ორი წელიწადია დაიწყეს შიდა გუბერნიებიდან ხალხის გადმოსახლება. ს. ნიგოითში, სადაც ჩვენს გლეხებს სამუშაო მწა არ აბადიათ მაჭუტაძის მამულებს ვილაც კაპიტალისტი ყიდულობსო. ამ მამულებს სამი წლის წინათ ტ. ართმელაძის დახმარებით გლეხები ყიდულობდენ ხელსაყრელ ფასათ, მაგრამ ერთმა ქკუის კოლოფმა დასელმა დაუშალა ხალხს, ალბათ ბაგანოთა გასამრავლებლათ.

მგლების თავზე სახარების კითხვა ზედმეტია. ისევ იმათ უნდა იზრუნონ ტერიტორიის შესანარჩუნებლათ, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ქვეყნისთვის,

ტირილი და ვაი-უის ძახილი არ გვიშველის. საქმეს შევუდგეთ ერთგულათ და მომავალი ჩვენი იქნება. ავათმყოფობას მაშინ უნდა წამლობა, როცა თავს იჩენს, თვარა, როცა მთელ სხეულს გაუჯდება, ძნელი მოსარჩენია.

„ერის“ 28-ნუმერში ბ. ვასა თიანი წინადადებას გვაძლევს მეშვიდედი ჩვენი ნაშრომისა გადავსდვათ ტერიტორის შესანარჩუნებლათო. მე თუმცა ხელმოკლე ვარ (აბა, რა უნდა იყოს სოფლის მასწავლებლის ჯამაგირი), მაგრამ მზათა ვარ მეშვიდედი ჩემი შრომისა გადავსდვა ამ დიადი საქმისთვის. სადაც კი ეს აზრი გავატარე, ყველა სიხარულით შეეგება. მზათ არიან თავისი წვლილი გადასდვან.

კარგი იქნება, ქალაქელი ამხანაგები იკისრებდენ ამ საქმის მოწესრიგებას.

მაშ ასე—სიტყვა საქმეთ ვაქციოთ.

—კაა.

## დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** პსკოვის ციხიდან გაქცეულს შვიდ კატორგელ ტუსაღთაგან სამი პსკოვში დააპატიმრეს და ოთხიც ტყეში პსკოვის მახლობლათ,

კონფისკაცია უყვეს „რეჩის“ 326 ნუმერს ბეილისის შესახებ მაკლაკოვის წერილის დაბეჭდვისათვის.

დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა სათათბიროში საკანონმდებლო წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ტომსკის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიური და ფიზიკო-მატემატიკური ფაკულტეტი გაიხსნას.

ფინანსიურმა კომისიამ, 22 ხმით წინაღმდეგ 11 ხმისა, მიიღო მთავრობის პროექტი ქალაქებში უძრავ ქონებაზე 6 პროცენტიანი გადასახადის დადების შესახებ. აქიდან ერთი პროცენტი ქალაქის თვითმართველობების საჭიროებას მოხმარდება და სადაც თვითმართველობა არ არის, იქ საგუბერნიო თანხას მიემატება. პოლონეთის ქალაქებში ათ პროცენტიანი ნორმა იქნება, აქიდან ერთი პროცენტი ადგილობრივათ გზების გაყვანის საქმეს მოხმარდება.

საქალაქო საქმეთა კომისიამ დაასრულა საკანონმდებლო წინადადების განხილვა საქალაქო საქმეთა რეფორმის შესახებ

მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი ქალაქებისა და სოფლების ღვდლების ჯამაგირის მოსამატებლათ ფულის გადადების შესახებ.

**მინსკი.** ნესვიტის ებრაელთა ლიტერატურული საზოგადოება არალეგალური ლიტერატურის შენახვის გამო დახურეს, ხოლო მის გამგეთა წინააღმდეგ საქმე სასამართლოში აღძრეს,

**უ ც ხ ო ე თ ი**

**რომი.** დეპუტატთა პალატა განაგრძობს მსჯელობას სეფესიტყვის საპასუხო ადრესის შემუშავების შესახებ. სალინდრო აცხადებს, რომ იგი ლივიის სამრეწველოს დაუჭერს მხარს, ვინაიდან საქმე ეხება არა კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადებას, არამედ ნდობის გამოცხადებას იტალიის საელჩოსათვის ხმელთაშუა ზღვაში. ორატორი შემდეგ ეკლესიისა და სახელმწიფოს საკითხს შეეხო.

**ბერლინი.** რეიხსტაგი ბიუჯეტის განხილვას განაგრძობს. ლაპარაკობს გრაფი ვერტჰერა და სურვილს გამოსთქვამს რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება გაძლიერდეს. ორატორი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში არ ხედავს ისეთს რასმე, რასაც უთანხმოების დაბადება შეეძლოს.

**პარიზი.** გეოგრაფიულ რუქას შესამუშავებლათ გაიხსნა საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც 32 სახელმწიფოს წარმომადგენელი ღებულობს მონაწილეობას.

**ბერნი.** მოკავშირეთა საბჭოში პრეზიდენტათ აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტათ ნამყოფი გოფმანი.

**სარაევო.** ზაფხულში 12 სერბიელმა სეიმში მუშაობას თავი დაანება. მოხდა მათი სამაგიერო არჩევა და მთავრობის დახმარებით სერბიის ზომიერმა ჯგუფმა გაიმარჯვა.

**შეკინი.** მოვიდა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ლიუანხუნი.

**ბერლინი.** ლეიპციგში კბილის საექიმო ნაწილზე მოსწავლე სტუდენტები გაიფიცენ. ითხოვენ უფლებას დოკტორის ხარისხის მიღებისას. გაფიცულებს ვიურტბურგისა და ბერლინის სტუდენტებიც შეუერთდენ.

**ტოკიო.** მინისტრთა ბანკეტზე ფინანსის მინისტრმა განაცხადა: ხარჯების შემცირების წყალობით 1915 წელს 3 მილიონი თავისუფალი თანხა გვექნებაო. იაპონიის ეკონომიური კეთილდღეობა მინისტრს უზრუნველყოფილათ მიაჩნია.

**პარიზი.** დუმერგმა დეპუტატთა პალატაში დეკლარაცია წაიკითხა და აღნიშნა იგი პარლამენტში რესპუბლიკანელთა უმრავლესობას გაუწევს ანგარიშსო.

**ლონდონი.** ტრედიუნიონისტთა კონგრესზე განიხილეს ლარკინის წინადადება დუბლინის გაფიცულთა თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. კონგრესმა, 280 ათასი ხმით წინააღმდეგ 203 ათასისა, უარყო საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. კრებაზე ძლიერი ხმაურობა იყო. ლარკინს მისი მოწინააღმდეგენი ხშირათ აწყვეტინებდენ სიტყვას.

**კაირო.** საფრანგეთის ელჩმა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთ ავიატორი მარკი წარუდგინა და ითხოვა მისთვის ნება მიეცათ ეგვიპტიდან სუდანში გადაფრენისა.

**ლონდონი** მიტინგზე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ დააპატიმრეს სუფრაჟისტი ქალი პანკერსტი.

**რომი.** პალატა განაგრძობს მეფის საპასუხო წერილის შესახებ მსჯელობას.

## რუსეთი.

**შკოლათა რუსიფიკაცია.** „სახალხო განათლების მინისტრმა კასომ ამ უკანასკნელ ხანებში შკოლათა რუსიფიკაციას დიდი ყურადღება მიაქცია. მან შემოიარა პოლონეთი დაწყებითი და უმაღლესი სასწავლებლების განათლების საქმის გასაცნობათ. ამ მოგზაურობას შედეგათ მოჰყვა მთელი რიგი განკარგულებებისა. კასომ აუცილებელ საჭიროებათ სცნო ვარშავის სასწავლო ოლქის პირველდაწყებითსა და საშუალო შკოლებში რუსული ენის, ისტორიისა და სადვთო სჯულის სწავლების გაძლიერება. მინისტრმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნი განათლების სამინისტროსაგან მოწონებული არ არის.

**საავათმყოფო კასა.** პეტერბურგში პუტილოვის ქარხანაში საავათმყოფო კასის მოწყობის საქმე კარგათ მიდის. აირჩიეს გამგეობის წევრები, რომლის უმრავლესობაც მუშები არიან.

**გაფიცვა.** ობუხოვის ქარხანაში ხუთი ათასი მუშის გაფიცვა გრძელდება. ქარხნის ადმინისტრაცია ყოველგვარ ზომას ღებულობს გაფიცვის მოსასპობათ. ქარხნის უფროსმა მოიწვია ზოგიერთი მუშა და უთხრა ურჩიეთ მუშებს, რო მუშაობა დაიწყონ და ჩვენ ვეცდებით თქვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასო. მუშებმა განაცხადეს: მუშაობას მანამდი არ დავიწყებთ, ვიდრე ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნებაო.

**სწავლის საქმე.** რიგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა საზოგადოების მოთხოვნილების გამო ნება დართო შკოლებში ლატიშთა სახელმძღვანელოს ხმარებისა.

**ჯარიმა.** პეტროვსკში ბლანკზე პოლონური ასოების რუსულ ასოებზე უფრო სხვილათ დაბეჭდვისათვის დააჯარიმეს საზოგადოება „მომავალი“.

**აფეთქება მატარებელში.** 22 ნოემბერს პსკოვის მახლობლათ მატარებელში რაღაც ნივთიერება აფეთქდა და მისი პატრონი უნტერაფიცერი იმსხვრევლა. აფეთქების ადგილს მივიდენ პოლიციელები, მაგრამ ვერ გამოარკვიეს თუ რა ნივთიერება აფეთქდა.

**ჯარის კაცი.** მინსკში დააპატიმრეს 48 წლის ფრუკმინი, რომელიც სამხედრო ბეგრის მოუხდელობის გამო იმალებოდა. ის საფრანგეთში წავიდა 27 წლის წინათ და იქ ცხოვრობდა. მისი საქმე გარჩია სასამართლომ და, ვინაიდან მისი ჯარის კაცათ გაყვანა არ შეიძლებოდა, გაამართლა.

**ცვლილება.** სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარემ აკიმოვმა კოკოვცოვს გადასცა სამსახურიდან გასვლის ქაღალდი. ცნობაა—შინაურ საქმეთა მინისტრის ამხანაგები ლაკომინი და ზოლოტარევიც თავს ანებებენ სამსახურსო.

**სამხედრო-სამკურნალო აკადემია.** სამხედრო-სამკურნალო აკადემიის უფროსი მაკავეევი შევიდა სტუდენტთა სასადილოში და სტუდენტებს არეულობის შესახებ მოელაპარაკა. უფროსი შეპირდა სტუდენტებს ამ მოკლე ხანში ისევ გავხსნი ახალი წესდების ძალით დახურულ სამკითხველოს, სამეცნიერო წრეს და სხვა სტუდენტთა ორგანიზაციასო.

**ჯამაგირების მომატება.** საშუალო შკოლის საქმეთა რეფორმის კომისიამ იმსჯელა ქალთა საშუალო შკოლის მასწავლებელთა ჯამაგირის მომატების შესახებ. კომისიამ გადასწყვიტა ხსენებული მასწავლებლები ჯამაგირის მხრით სავაჟო გიმნაზიების მასწავლებლებთან გაათანასწოროს.

**შეკითხვა.** შეკითხვების კომისიამ, 16 ხმით წინააღმდეგ 15 ხმისა, მიიღო შრომის ჯგუფის ფრაქციის შეკითხვა სახალხო განათლების მინისტრის ახალი ცირკულიარის უკანონობის შესახებ. ცირკულიარი ეხებოდა სახალხო სამკითხველოებში წიგნების მიღების წესს.

**კრება.** პეტერბურგში, 23 ნოემბერს, პიროგოვის სიკვდილიდან 32 წლის თავზე რუსეთის სამედიცინო საზოგადოებების წარმომადგენელთა კრება გაიმართა. პანაშვიდს შემდეგ დეპუტატმა შინგარევმა წაიკითხა ლექცია ამ სათაურით: პიროგოვი როგორც მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე.

## უცხოეთი.

**საარჩევნო რეფორმა.** გალიციის სეიმში საარჩევნო რეფორმის პროექტი შეიტანეს, რომლის ძალითაც უკრაინელ დეპუტატთა რიცხვი ერთი ორათ უნდა გამრავლდეს. პროექტში ახალი კიდევ ის არის, რომ სხვილსა და საშუალო მემამულეთა კურიაში არჩევნებში აქტიური მონაწილეობის უფლება ქალებსაც ეძლევა.

**სერბიის კონსტიტუცია.** გამოქვეყნდა სერბიის მეფის ბძანება ახალს დაპყრობილ ადგილებში სერბიის კონსტიტუციის კანონის გავრცელების შესახებ. ხსენებულ ადგილებში სერბიის კონსტიტუციის კანონები მცირედის გამოკლებით ვრცელდება. მაგალითად: ახალს დაპყრობილ ადგილებში პრესისა, კრებისა და კავშირების თავისუფლება იმ სახით, რა სახითაც ეს სერბიაშია გავრცელებული, არ ვრცელდება. აგრეთვე ახალ სერბიაში სკუპჩინისა და თვითმართველობის წევრთა არჩევნები სულ სხვა წესით მოხდება.

**ოსმალეთი და რუსეთი.** ოსმალეთის დიპლომატმა ერთ-ერთ გაზეთში ოსმალეთ-რუსეთ შორის დამოკიდებულების შესახებ ასეთი შინაარსის წერილი მოათავსა: —უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იტალიასთანა და ბალკანეთის სახელმწიფოებთან ომით დაუძლურებული ოსმალეთი განახლების გზას ადგებოდა, მაგრამ ამ დროს მტრათ რუსეთი მოევლინა. ოსმალეთმა თუ ბერლინში დაპირებული რეფორმა არ განახორციელა ამაში დამნაშავე ევროპაც არის. რეფორმის განსახორციელებლათ ფულები არის საჭირო, სახელმწიფოებმა კი ოსმალეთს სესხის აღებაში ხელი შეუშალეს. ოსმალეთი ახლა ფულის შოვნას სადამოჟნო გადასახადების გადიდებითა და სესხის აღებით ფიქრობს. რეფორმების საჭიროების შეგნებაში ასეთი ერთსულოვნება ოსმალეთს არასოდეს არ გამოუჩენია. რუსეთი ბალკანეთის სახელმწიფოებს ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებაში დედობას უწევდა. რუსეთის სურვილი იყო ევროპის ოსმალეთის დამხობა. რუსეთი ამიერიდან არ უნდა ფიქრობდეს, რომ მას ოსმალეთი ბრმათ ხელში ჩაუვარდეს. რუსეთის შესახებ ოსმალეთში ფიქრობენ, რომ რუსეთს უნდა ოსმალეთის დამხობა და სომხეთის შეერთება. რაც შეეხება გერმანიას, გერმანია დაინტერესებულია ოსმალეთის ეკონომიური მხრით აღორძინებაში.

**საარჩევნო რეფორმისთვის ბრძოლა.** გალიციაში საარჩევნო რეფორმისთვის ბრძოლამ ახალი სახე მიიღო. კრაკოვში მოიწვიეს საგანგებო სეიმი, რომელსაც დაავალეს პოლონელებთანა და რუსინებთან შეთანხმებით კანონპროექტის შემუშავება. პროექტი ამ წლის მარტში მზათ იყო, რუსინები და პოლონელები შეთანხმდენ კიდეც, მაგრამ პოლონეთის სასულიერო წოდება საქმეში ჩაერია და საქმე ჩაფუშა. ამას შემდეგ რუსინებმა ბრძოლა ავსტრიის პარლამენტში გადაიტანეს. რუსინებმა მოინდომეს იქაურ რეიხსტაგში ობსტრუქციის მოხდენა და ცენტრალური მთავრობა იძულებული გახდა რეიხსტაგი ერთი კვირით დაეთხოვა. რუსინები იმუქრებიან, თუ საარჩევნო რეფორმას არ განახორციელებთ და ნებას არ მოგვცემთ გალიციის სეიმში ერთი მესამედი დეპუტატების ყოლისა, ობსტრუქციით რეიხსტაგში მოღვაწეობას ხელს შევუშლითო. ასევე ემუქრება ავსტრიის ცენტრალურ მთავრობას ჩეხებიც. ჩეხები ამბობენ:—ბიუჯეტის მსჯელობის დროს ხელს შეგიშლით, თუ ბოჰემიის კრიზისს არ მოსპობთო.

**სომხები და ოსმალეთი.** ტალატ-ბეიმ სომეხთა წარმომადგენლებს გაუცხადა, მთავრობას სურს თქვენთან მოლაპარაკება და წარმოადგინეთ სია მოთხოვნილებებისაო. მინისტრი შეპირდა სომეხთა წარმომადგენლებს პარლამენტში სომეხ დეპუტატთა რიცხვს გავადიდებთო. სომხები თხოულობენ 22 დეპუტატის ყოლის უფლებას. პორტა მათ 18 დეპუტატის არჩევის უფლებას აძლევს.

**ალბანეთში.** რუსკოე სლოვოს დეპეშით ატყობინებენ: ეპირში საქმის მდგომარეობა გამწვავდაო და სამხრეთ ალბანეთში მოსალოდნელია დიდი არეულობა მოხდესო. მცხოვრებლები ეპირში აშფოთებული არიან იტალიისა და ავსტრიის მოთხოვნილებით ალბანეთზე ბერძნებით დასახლებული ადგილების შეერთების გამოო. გადასწყვიტეს ავსტრიისა და იტალიის მოთხოვნილებას წინააღმდეგობა გაუწიონ იანინისა და პრევეზის მცხოვრებლებმა საზონოვს. დეპეში გაუგზავნეს და სთხოვეს: გამოიჩინე კაცთმოყვარეობა და ბერძნებს სხვის ხელში ნუ ჩაგვაგდებო.

## ხმა მოსკოვიდან.

მოსკოვის პიროგოვის საზოგადოებამ, როგორც იყო ამასწინათ გაზეთებში მოხსენებული, გადასწყვიტა გაუწიოს დახმარება ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ მოსალოდნელი შიმშილობის გამო. ამის შესახებ, 22 ნოემბერს, ჩვენმა დეპუტატმა ვ. გელოვანმა ინახულა პიროგოვის საზოგადოების თავჯდომარე ექიმი დ. ნ. ჟბანკოვი, დაწვრილებით გააცნო მას მცხოვრებთა საშინელი მდგომარეობა, ურჩია საზოგადოებას დახმარების ტეხნიკურათ მოწყობა და შეპირდა ამ მოკლე ხანში მოუსავლობის შესახებ დაწვრილებითი ცნობების გამოგზავნას პეტერბურგიდან. თავისი მხრით თავჯდომარემ აღუთქვა გელოვანს, რომ მისგან მოწოდებული მასალები წარდგენილი იქნება გამგეობის კრების განსახილველათ, მასთან განმარტებული იქნება დეპუტატ გელოვანის მოსაზრებანი დახმარების ტეხნიკურათ მოწყობის საქმეში. თავჯდომარემ საუბრის დროს გამოსთქვა სურვილი, რომ იმ მასალების მიხედვით, რომელიც გელოვანის მიერ იქნება წარმოდგენილი, მოათავსოს მოწოდება რუსის საზოგადოებისადმი გაზეთების საშვალებით მატერიალური დახმარებისა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა სასარგებლოთ.

— მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში არსებულმა ქართველ სტუდენტთა წრეებმა მოსკოვის ქართველ საზოგადოებასთან ერთად გადასწყვიტა გადიხადოს 16 იანვარს 1914 წ. 700 წლის იუბილე თამარ მეფის გადაცვალების დღიდან. ამ იუბილეზე მოწვეული იქნებიან რუსის მეცნიერები და პუბლიცისტები.

— მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებული ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, 13 დეკემბერს, მართავს საღამოს, სათვისტომოს ღარიბ წევრთა სასარგებლოთ.

ან-გან.

## ქალაქის საბჭოს სხდომა.

27 ნოემბერს.

ქალაქის საბჭოს სხდომას 27 ნოემბერს ხმოსანთა საკმაო რიცხვი დაესწრო. სხდომას თავჯდომარეობდა ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი მოსიძე. პირველი მოხსენება შეეხებოდა სარევიზიო კომისიის დაარსებას. ამ საკითხმა საყურადღებო კამათი გამოიწვია. აზრების დაყოფა შეეხებოდა სარევიზიო კომისიის სხვადასხვა სახით დაარსებას სპეციალურათ. ხანგრძლივ კამათს შემდეგ, საბჭომ შეუძლებლათ სცნო მუდმივი სარევიზიო კომისიის დაარსება და აღიარა საჭიროთ რამე საკონტროლო ორგანოს დაარსება, ქალაქის კასისა ქალაქის სხვადასხვა უწყებაში მყოფ დაწესებულებათა ანგარი-

საპაჭრო სახლი
**ი. გოკიელის შვ—ბის**
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

**ნ. ხრისტოდულიდის** (რომ... ... წერეთლის)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტოდულიდის ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70** ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საფეროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი** ქქთამეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოეწყობა ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


შის სისწორის გასაგებათ. შემდეგ განიხილეს სხვადასხვა წვრილმანი საქმე, რომლის შორისაც შეწყნარებულ იქნა მეფარნის ნიკოლოზ სოფრომიძის თხოვნა, 25 წლის მეფარნეთ სამსახურის გამო, რომელსაც დაენიშნა თვიურათ 6 მანეთი, და ჟურნალ „გოროდსკოე დელოს" რედაქციის თხოვნა ჟურნალების გამოწერის შესახებ. მიიღეს აგრეთვე წინადადება, რათა საბჭოს მიერ საცივადო საქმის გასაცნობათ გაიგზავნოს თფილისს კაცი. უყურადღებოთ დატოვებულ საქმეთა შორის აღსანიშნავია გუბერნატორის წინადადება იალტაში პოლიციელების სანატორიუმის ასაშენებლათ ერთდროული დახმარების შესახებ, საქალაქო საქმეთა საკრებულოს ყოფილი მდივნის, ნიკიფორე კანდელაკის თხოვნა ერთდროული დახმარების შესახებ და ბ. ქებურიას თხოვნა ერთდროული დახმარების შესახებ. გრ. ნასარიძის მოხსენება ვ. წერეთლისა. მ. ლორთქიფანიძისა და ჩარქოვის დათხოვის შესახებ გადადებულ იქნა.

## სოხუმი

არსად არ აყრია დიდი ხეირი ქართველ გლეხობას, მაგრამ აუტანელია მათი შევიწროება სოხუმის ოლქში. ყველა მას შურით, ზიზღით უყურებს. ოსმალეთიდან გადმოხვეწილ უცხოელებს უფრო ადამიანურათ, პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე მკვიდრ ქართველებს. აქ ოსმალთა ქვეშევრდომების უმეტესი ნაწილი თოფიარაღითაა გამოწყობილი და ალაჰმა უწყის რამდენ ბოროტ საქმეს ისინი ჩადიან, მაგრამ რა უჭირსთ, რაც კი მოხდება, ქართველს მოახვევენ კისერზე. ერთი ქართველი რო მივიდეს და იარაღის ნებართვა ითხოვოს „ტკბილის" სიტყვებით გაუმასპინძლდებიან და დამნაშავეთა ბანაკში თავს უკვრენ. ოსმალეთიდან გადმოსახლებული ხალხი ყოველივე კულტურას მოკლებულია, მაგრამ მათ აქ ყველგან უპირატესობას აძლევენ. თუ რათ ხდება ამისთანა მოვლენა ჩვენში, ამის ახსნას არ შევუდგები. ჩემი მიზანია ორიოდე სიტყვით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო გლეხების მონდობილობით ბატონს ნიკო თავდგირიძეს და მოკლეთ გამოვსთქვა წებელდაში მიწის ყიდვის თაობაზე ჩემი გულისტკივილი.

ბ-ნი ნიკო დიდ მფარველობასა და შემწეობას უჩენს აქაურს ქართველ გლეხობას.

მისი მეცადინობით ორასამდი გლეხმა მოიყარა თავი და კაი ძალი ფული შეიტანა ბანკში წებელდაში მიწის საყიდლათ; შემდეგ გაურიგდა ვინმე გერმანელ რეინჰარტს, რომელმაც ბეც აიღო და წინასწარი პირობაც დასდვა იმისა, რომ სხვას მიწას არ მიყიდდა. შემდეგ რაც მოხდა, ყველაფერი აწერილია „ერის" მე-11 ნომერში. ახლა მინდა ჩემი გულისწყრომა გამოვუცხადო ზოგიერთს მოღალატე მამულისშვილებს, რომელთაც თავი იმით ისახელეს, რომ როდესაც ბ. ნიკო საწყალ გლეხებთან ერთად ებრძოდა მოწინაღმდეგეებს, იმათ თავი ამოყვეს მტრის ბანაკში და შეეცადენ ხიდის ჩამტვრევას. საქმე წახდა, მაგრამ მათ რა მოგება?

მათი ვინაობის გამოჩენა საჭიროთ არ მიმაჩნია, რადგანაც ბუნება მოწყალეა. ისინი თვით გამოჩნდებიან მალე და ის დაემართებათ, რაც ერთს უგნურ თაგუნას, რომელიც ვერც ჩიტი გახდა და თაგვობაც დაკარგა. მგოსანმა მას ღამურა უწოდა, და ჩვენ კი რაღა უკეთესი სახელი დავარქვათ? დაღონებული.

## დაბა-სოფელი.

**სოფ. დილიკაური (შორაპნის მაზრა).** ორი-სამი დღეა, რაც სოფ. დილიკაურში შემხვდა ჩასვლა. პირველათ ჩემი ყურადღება მიიქცია ამ სოფლის სამრევლო შკოლამ. წარმოდგენილი გექნებათ ქოხი, რომელიც ყოველ წუთს მოელის, აი ეს არის წაიქცევი და აი ეს არისო, და თანაც გაფრთხილებთ შიგნით ნურვინ გაჩერდებით, თვარა შესაძლოა ჩემი სხვერპლი გახდეთო. სწორეთ ასეა ამ შკოლის საქმეც. „არსიდან ხმა, არსიდან ძახილი"; არავინ ამ შკოლას პირისუფალი არ ყოლია და არცა ყავს, და რომ ყოლოდა, ნუთუ ამდენხანს საქმეს არა ეშველებოდა რა!? როდესაც შკოლაში შედიხართ თქვენს თვალწინ საშინელი რამ სურათი წარმოგიდგებათ: საწყალი გლეხის ბავშები ჯერ ისედაც უბრალოთ, არა ზამთრულათ ჩაცმულნი აუტანელი სიცივით ცახცახობენ, ყველას უნდა ბუხართან მივიდეს და ცოტათი ხელ-ფეხი მოითბოს, აგრეთვე მასწავლებელიც. ყოველი კუთხიდან ქარი ქრის კედლებს შუა. თუ წვიმა არის—წყალი ზევიდან ჩამოდის. ერთი სიტყვით ეს შკოლა კი არა, რაღაც ჯოჯოხეთური რამაა. ამისთანა გაჭირვების მნახველი ბავში ბუნებრივათ გაურბის შკოლას და რჩება ანბანის უსწავლელი. ბევრგან მინახავს უმწეო მდგომარეობა შკოლისა, მაგრამ ამის მზგავსი კი არაფერი. თითო სკამზე (პარტაზე) ზის 4—6 ბავში; კედლებზე არც სურათები არც სხვა რამ. ეს შენობა შკოლას კი არა, ბოსელს მოგაგონებთ. როგორც ერთი შეხედვიდან ჩანს, და მათი მოძღვრის ბ. ქ—ს ნაამბობიდან, არც სოფლის მცხოვრებნი იტკივებენ თავს, არც თუ ისე გაჭირვებული არიან აქ მცხოვრებნი, რომ შკოლის შენახვა არ შეეძლოსთ, მაგრამ თაოსან კაცს ვერ ნახავთ.

წელს აქეთ სიმიდის მოსავალი ძალიან ცუდია. მოსავალი არ ეყოფათ არც სამოთხ-თვეს, ერთადერთი იმედი ღვინის მოსავალი არის—მაგრამ არც ის მოსულა წელს იმდენი, რომ ღვინის გაყიდვით გაძვალტყავებულმა გლეხობამ სიმიდის მოუსავლობის დანაკლისი აინაზღაუროს. ყოველ შემთხვევაში აქაურ გლეხს საშვალოთ დააკლდება 6—7 თვის სარჩო.

ვისაც აქით გაუვლია, მას წარმოდგენილი ექნება თუ როგორი ცუდი გზები აქვს ამ სოფელს,—ყოვლად შეუძლებელია გლახა ამიდში გამვლელი მუხლე ბამდის ტალახში არ ამოისვაროს. აქ ცხოვრობენ აზნაურებიც, რომელთაც არაფრის დარდი არ აქვთ, გარდა ღვინით ქეიფობისა. დროა, ბ-ნებო გაამძრიოთ ხელი, გააკეთოთ გზები, შკოლები და სხვა კულტურული რამ, თვარა მარტო „ნუნუა" ბევრს არას მოგიტანთ. ამასთანავე ჩემს ზნეობრივ მოვალეობათ ვსთვლი მივმართო წ. კ. გ. საზოგადოების ქიათურის განყოფილებას და ქიათურის მრეწველთა საბჭოს მიაქციოს ყურადღება ამ სოფლის შკოლას.

შუქრუთელი ალექსანდრე.

—

**ს. ძირა-თავასა (ზემო იმერეთი).** ს. ძირა-თავასა მუხურის საზოგ. ეკუთნის, ჩხარის ნაწილის საბოქაულოს.

ჩხარის საბოქაულო გაიყოფება მოსავლის მხრით ორ ნაწილათ: სოფლები გოგნი, მუხურა, და მთელი ხრეითის საზოგადოება მთის ადგილებია; ვენახი ამ სოფლებში არ ვარგობს, სიმიდი კაი მოსავალშიც აკლია აქაურ მცხოვრებთ, ერთი მეორეზე ოთხი თვის საზდო თუ ეყოფოდეთ; მეორე ნაწილში კი ვენახი კარგათ ვარგობს, მაგრამ წრევანდელს დამწვარ წელიწადში სიმიდის მოსავლის ორივე ნაწილი მშრალზე დარჩა. მართალია, რამდენიმე სოფელს ღვინო კარგათ მოუვიდა, მაგრამ რა გამოვიდა, გასაყიდი ბაზარი არ ეახლოებათ, გარდა რაჭისა.

ხოლო რაჭველებისაც გვესმის—ჩვენზე უკეთესი დღე არ აწვნია წრევანდელმა გვალვებმა და ჩვენი ღვინო რაღას ეპიტნავებათ.

სიმიდი ერთი მეორეზე, არ მგონია—შუა დეკემბრამდი მიყვეს აქაურ მცხოვრებთ და რამდენიმე ახლაც ყიდულობს, მაგრამ გასაყიდსაც ვერ შოულობს.

თუ ვინმე დროით უგდებს ყურს ამ მივარდნილ სოფლებს, თვარა, აღარ ვიცი, რა დაემართება, ან შიმშილითა და ან აქაური ბნელი ძალების მეოხებით.

ჩხარის საზოგადოების სოფელმა მუჯირეთმა სთხოვა გუბერნატორს: „ნება მოგვეცით ძირა-თავასელებთან ერთად შკოლა ავაგოთო". ჩხარის მამასახლისს მოწერილობა მოუვიდა: შეერთების განაჩენი დაადგინეთ მუჯირეთლებს და წარმომიდგინეთ. თქვენც არ მომიკვდეთ: სანამ ფეშქაში არ გაიღეს, ვერ ეღირსენ განაჩენს და ისიც უვარგისი გამოდგა და უკან დაგვიბრუნეს. და ახლა ფეშქაში გაგვიორკეცეს, თითქოს ამ გაჭირვების დროს ზეთი გადმოგვდიოდეს.

მუხურის კანცელარიის შენობის სახურავი ცოტა დაზიანებული იყო; ამას გაეწყობოდა წრევანდლობით შეკეთება, მაგრამ მთავრობის ბძანებით 700 მანეთად გასცეს იჯარით. ეს გადასახადიც ცეცხლათ მოხვდება გულზე მშიერ ხალხს. უკეთესი იქნებოდა ეს შვიდასი მანეთი, ხიდზე დაეხარჯათ, ურომლისოთაც გაჭირვებულია რამდენიმე საზოგადოება; ხიდი ძალიან დაზარალებულია და რა ცოდვა მოხდება, ღმერთმა იცის...

— ძირა თავასაში მობძანდა ბატ. ინსპექტორი დააარსა წვრილი საკრედიტო საამხ. ბანკი და მიაწერა შემდეგი სოფლები: თუზი, ვარდიგორა და ზედა თავასა. ასეთი ბანკი დამტკიცდა სოფ. მუხურაშიც. ც-ძე.

## ნარევი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ყველაზე უფრო პატარა რესპუბლიკაში სან-მარინოში ახალ პრეზიდენტთა არჩევნები მოხდა. ამ პატარა სახელმწიფოს ერთი განსაკუთრებული წესი აქვს: სახელმწიფოს მართვა ორ კაცს აქვს ჩაბარებული. როგორც ძველათ რომში ორი კონსული იმყოფებოდა, ისე სან-მარინოს ორი პრეზიდენტი განაგებს, რომელთაც 69 კაცისგან შემდგარი „მთავარი საბჭო" ირჩევს.

როგორც ვიცით სან-მარინო ხმელთა შუა ზღვის ნაპირზე იმყოფება. ამ რესპუბლიკაში 10 ათასი მცხოვრებია. იგი იტალიის პროტექტორატს ქვეშ იმყოფება: ფოშტა ტელეგრაფი და დამოენა მას იტალიასთან საერთო აქვს. დანარჩენ შემთხვევაში პატარა რესპუბლიკა სავსებით დამოუკიდებელია.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


ა. ი. კოსტავას
ევროპიულ მაღაზიაში
(თფილისის ქუჩა, ქალაქის ავთიაქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა.
— ფასები ძლიერ დაკლებულია. —
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფასები უვაჭროთ.

# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

გამოცემა „სორაპანისა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
# კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი
კალენდრის ქარდონი დაბეჭდილა ლიტოგრაფიაში ათი ფერა სადებავით სუფთად და ლამაზათ.
# სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი".

ახლათ გამოშვებული პაპიროზები
„დ ე ლ ი - ბ ა ბ"
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
ა. თაბაგრის მაღაზიაში.
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.



ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.